



**რეგიონალური ტელევიზიების მონიტორინგი
საპრეზიდენტო არჩევნები 2013**

პროექტი # S-13-238

საანგარიშო პერიოდი: 4-10 ნოემბერი, 2013 წელი

მონიტორინგის მეექვსე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე მკვეთრად შემცირდა მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო: მთავრობას, კოალიცია "ქართულ ოცნებას" და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას";
- ტელეკომპანიათა ნაწილი დიდ დროს უთმობდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები მხოლოდ ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებად სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს;
- ტელეკომპანიების მომზადებულ თოქ-შოუებში პოლიტიკური თემები ნაკლებად განიხილებოდა, აქცენტი ეკონომიკურ, სოციალურ თემებზე და საზოგადოებისთვის აქტუალურ სხვა საკითხებზე კეთდებოდა;
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება უმეტესწილად ნეიტრალურ ტონში ხდებოდა;
- საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2013 წლის 4-10 ნოემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. “პრაიმ-ტაიმის”, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებზე, სოციალურ რეკლამებზე.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.


მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები (კოალიცია), ეროვნული ფორუმი (კოალიცია), საქართველოს რესპუბლიკური პარტია (კოალიცია), საქართველოს კონსერვატიული პარტია (კოალიცია), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (კოალიცია), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, ასევე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ცალკ-ცალკე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში საინფორმაციო გადაცემა "მაცნეს" გამოშვებები ყოველდღიურად გადაიცემოდა. სიუჟეტები მომზადდა როგორც რეგიონში, ისე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 15 წუთი დაეთმო. ამ დროის 33% აჭარის მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 22%- ადგილობრივი ხელისუფლების, ხოლო 16% - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის". სუბიექტები პირდაპირი და ირიბი საუბრით თითქმის თანაბრად შუქდებოდნენ. მათი გაშუქება, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში ხდებოდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონის 25%-იანი მაჩვენებელი 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების წლისთავისადმი მომზადებულმა სიუჟეტებმა განაპირობა.

საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ. სიუჟეტები, ძირითადად, დაბალანსებული იყო.




"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „რიონმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში ერთი საათი და 24 წუთი დაუთმო. 20-30 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება „დღის ამბები“ არხის ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. ყოველი დღის ბოლოს კი, „დღის ამბებში“ გაშუქებული რამდენიმე სიუჟეტი მეორდებოდა. კვირას „რიონის“ ეთერში გადაცემა „7 დღე“ გავიდა.

მონიტორინგის სუბიექტებიდან „რიონის“ ეთერში ყველაზე დიდი დრო, თითქმის 19-19 წუთი ადგილობრივ ხელისუფლებას და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. გაშუქების 18 წუთი ჰქონდა მთავრობას, 16 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". მონიტორინგის სუბიექტებს, მეტწილად, პირდაპირი საუბრისთვის ეთმობოდათ დრო, ხოლო გაშუქების ტონი ნეიტრალური იყო.

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები, ძირითადად, ადგილობრივ ახალ ამბებზე მზადდებოდა: ქუთაისის მერიაში მიმდინარე მოვლენები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პარტიების აქტივობები, მოსახლეობის პრობლემები, საპროტესტო აქციები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები. თუმცა, არხის საინფორმაციო გამოშვებებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიც აქტიურად შუქდებოდა.

სიუჟეტებში ბალანსის დარღვევის ფაქტები არ დაფიქსირებულა. ასევე არ გამოვლენილა ჟურნალისტების მიერ სუბიექტური შეფასებების გაკეთების შემთხვევები. ფაქტები დროულად და მიუკერძოებლად შუქდებოდა.




ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება მკვეთრად შემცირდა. წუთზე მეტი დრო ადგილობრივ ხელისუფლებას (15 წთ.), მთავრობას (7 წთ.) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (6 წთ.) დაეთმო.

25-30 წუთიან საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“, გასული კვირის მანძილზე, მონიტორინგის სუბიექტები 30 წუთის განმავლობაში შუქდებოდნენ. მათ მიმართ საკმაოდ მაღალი ნეიტრალური ტონის მაჩვენებელი გამოვლინდა. უარყოფითი ტონი არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა. ხოლო პირდაპირი გაშუქება ირიბს მცირედით სჭარბობდა.

საინფორმაციო გამოშვება ტელეკომპანიის ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. კვირას კი საეთერო დრო „კვირის ქრონიკას“ დაეთმო, სადაც კვირის მნიშვნელოვანი ამბები იყო თავმოყრილი. ჟურნალისტები დღის მთავარ ამბებს სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ.


არხი საკმაოდ ვრცლად აშუქებდა რუსთავში და ზოგადად ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე პროცესებს: ადგილობრივი ხელისუფლების და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად ძიძიგურის აქტივობებს, სხვადასხვა კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს, აგრეთვე მოსახლეობის პრობლემებს. „ქონიკაში“ შუქდებოდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიც.



"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „ოდიშის“ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 29 წუთი დაეთმო. მათ შორის ყველაზე დიდი დროით მთავრობა (12 წთ.), კოალიცია „ქართული ოცნება“ და ახლადარჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი (4- 4 წთ.) იყვნენ წარმოდგენილნი.

ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, ძირითადად, „ინფოლენტში“ (პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებების მოკლე ციტატები, რომლებსაც ავტორის ფოტოც ახლავს) შუქდებოდა. საინფორმაციო გამოშვებების უმეტესი ნაწილი კი რეგიონში განვითარებული მოვლენებს ეთმობოდა.


ჟურნალისტები ფაქტებს მშრალად გადმოსცემდნენ და მოვლენებს ნეიტრალურად აშუქებდნენ. მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო თითქმის არ ეთმობოდათ და, უმეტეს შემთხვევაში, დროის 100% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. მიუხედავად ამისა, სიუჟეტები მიუკერძოებელი და დაბალანსებული იყო.



"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემა "ექო" ეთერში ყოველდღე გადიოდა. გამოშვებების სიუჟეტების თემები მრავალფეროვანი იყო: შუქდებოდა როგორც ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, ასევე რეგიონის ახალი ამბები. მთლიანობაში, არხმა მონიტორინგის სუბიექტებს 33 წუთი დაუთმო. ამ დროის 29% კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობები გაშუქდა, 27% - მთავრობის, ხოლო 23% - ადგილობრივი ხელისუფლების. კოალიციისთვის დათმობილი დროის 68% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა, სხვა სუბიექტების შემთხვევებში კი, მცირედით, მაგრამ პირდაპირი საუბარი სჭარბობდა. სუბიექტების მიმართ, უმეტესწილად, ნეიტრალური ტონი გამოვლინდა. ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მან 100% -იც კი შეადგინა.

კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონის 21%-იანი მაჩვენებელი რამდენიმე საკითხის გაშუქებამ განაპირობა: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში კოალიციის წევრები დაადანაშაულა, ხოლო ორგანიზაციამ "ერთსულოვნება - სამართლიანობისკენ" განაცხადა, რომ კოალიციის წევრების მიწოდებულ ინფორმაცია, ადიგენის "ქართული ოცნების" შტაბში წამყვან პოზიციებზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრების დანიშვნის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამებოდა.


ჟურნალისტები ცდილობდნენ სიუჟეტებში ბალანსი დაეცვათ და ყველა დაინტერესებული მხარის პირდაპირი საუბრისთვის თანაბრად დაეთმოთ დრო, ხოლო ფაქტები ობიექტურად და მიუკერძოებლად გაეშუქებინათ.



"თანამგზავი" (ქ. თელავი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „თანამგზავრზე“ საინფორმაციო გამოშვებებში სოციალურ თემებზე მომზადებულ სიუჟეტებს დიდი დრო დაეთმო. წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, არხის საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება შემცირდა. ახალი ამბების გამოშვებებში უფრო მეტი ყურადღება რეგიონში განვითარებულ მოვლენებს და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს ექცეოდა. ჯამში, არხმა მონიტორინგის სუბიექტებს 23 წუთი დაუთმო. ამ დროის 27% - კოალიცია „ქართული ოცნების“, 22% - მთავრობის, ხოლო 20% - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გაშუქებაზე მოდიოდა.

ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე აშუქებდნენ. მთავრობისა (49%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (70%) მიმართ დაფიქსირებული დადებითი გაშუქების მაღალი მაჩვენებლები, ძირითადად, სუბიექტების პირდაპირმა საუბარმა განაპირობა.

საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში ჟურნალისტები პოლიტიკურ თემებზე ანალიტიკურ სიუჟეტებს ნაკლებად ამზადებდნენ. ისინი ფაქტის მოკლე და ზუსტი გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ.




"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო კვირაში საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები რეგიონის ახალ ამბებსა და მოსახლეობის პრობლემებზე მზადდებოდა. საარჩევნო პერიოდის დასრულების პარალელურად, საინფორმაციო გამოშვებებში, მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების მაჩვენებელი შემცირდა. მათ ჯამში 50 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტი დრო ადგილობრივი ხელისუფლების (29 წთ.) მიმართ დაფიქსირდა. ამ დროის 49% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

პოლიტიკური გაერთიანებებიდან 5 წუთი დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“, 4 წუთი - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. მათ საკუთარი მოსაზრებების დასაფიქსირებლად, ძირითადად, პირდაპირი საუბრისათვის ეთმობოდათ დრო, შესაბამისად 52% და 58%.

სუბიექტებს, უმეტესწილად, ნეიტრალურად აშუქებდნენ. კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ დაფიქსირებული უარყოფითად გაშუქების 38%-იანი მაჩვენებელი 7 ნოემბრის ახალი ამბების გამოშვებაში გასულმა სიუჟეტმა განაპირობა: ჟურნალისტი აცხადებდა, რომ პირი, რომელიც პოლიციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის ქურდობისთვის დააკავა კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი იყო. ეს ინფორმაცია მხოლოდ დაზარალებული მხარის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“) განცხადებას ეყრდნობოდა და კომპეტენტური, სარწმუნო წყაროს კომენტარი წარმოდგენილი არ იყო.

მთლიანობაში, საინფორმაციო გამოშვებებში ჟურნალისტები მხარეებს დაბალანსებულად წარმოადგენდნენ, მოვლენებს მაქსიმალურად ნეიტრალურად, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების გარეშე აშუქებდნენ. თუმცა, ცდილობდნენ სხვადასხვა სოციალური საკითხების და პრობლემების გაშუქებისას მოსახლეობისთვის საინტერესო ყველა მწვავე კითხვაზე მიეღოთ პასუხი.




"გურია" (ქ. ოზურგეთი) - ერთკვირიან საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს 20 წუთი დაეთმოთ. ყველაზე ხანგრძლივად არხზე ადგილობრივი ხელისუფლებისა და მთავრობის აქტივობები გაშუქდა (6 - 6 წუთი). 4 წუთი კი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო.

„გურიის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტები, ძირითადად, თავად საუბრობდნენ. "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" პირდაპირი საუბრისთვის დროის 80% დაეთმო, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებას - 56%.

10-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები, ძირითადად, გურიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს, მოსახლეობის პრობლემებს, ციტრუსის მოსავლის აღების სეზონის დაწყებას, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს შეეხებოდა. თუმცა, რეგიონსგარეთ განვითარებული მოვლენების გაშუქებასაც ეთმობოდა დრო.


ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში გასულ სიუჟეტებში ბალანსის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. საანგარიშო პერიოდში ასევე არ დაფიქსირებულა ჟურნალისტის მიერ სუბიექტური აზრის გამოთქმის და მიკერძოების შემთხვევები.




იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „იმერვიზიის“ ეთერში 10-20 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დღეში ორჯერ გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონსა და ზოგადად ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს საკმაოდ ვრცლად აშუქებდნენ.

საანგარიშო კვირაში მონიტორინგის სუბიექტებს „იმერვიზიამ“ ერთი საათი და 8 წუთი დაუთმო. ყველაზე ხანგრძლივად არხზე კოალიცია „ქართული ოცნება“ გამუქდა (27 წთ). მთავრობას 22 წუთი დაეთმო, ხოლო ახლადარჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს - 8 წუთი. ტონი ყველა სუბიექტის მიმართ, ძირითადად, ნეიტრალური იყო. არხის ეთერში მონიტორინგის სუბიექტები, უმეტესწილად, თავად საუბრობდნენ. მაგალითად, კოალიცია "ქართული ოცნებისთვის" დათმობილი დროის 80% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებსა და ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობებს, ასევე სხვადასხვა კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს, არხის ჟურნალისტები ოპერატიულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ.



"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში საინფორმაციო გადაცემა "დღეს" ყოველდღიურად გადაიცემოდა. გამოშვებებში შუქდებოდა როგორც რეგიონსგარეთ განვითარებული მოვლენები, ასევე ვრცელი სიუჟეტები მზადდებოდა ადგილობრივ ახალ ამბებზე: ახალი ფრაქციის შექმნა საკრებულოში, გამგებლის ვაკანსია, ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალურად დაუცველთა პრობლემები. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სიუჟეტებში მონიტორინგის სუბიექტებზე საუბარი არ იყო. მთლიანობაში, საინფორმაციო გამოშვებებში, მონიტორინგის სუბიექტებს 16 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 29% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 23% - კოალიცია "ქართული ოცნების", ხოლო 16% - ადგილობრივი ხელისუფლების. მთავრობისა და კოალიციისთვის დათმობილი დროის დიდი წილი პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, შესაბამისად 86% და 60%. ადგილობრივი ხელისუფლების კი ირიბ გაშუქებაზე - 66%. სუბიექტების მიმართ, ძირითადად, ნეიტრალური ტონი გამოვლინდა, თუმცა კოალიცია "ქართული ოცნების" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გაშუქებისას უარყოფითი ტონიც დაფიქსირდა. სიუჟეტებში ბალანსი, ძირითადად, დაცული იყო. ჟურნალისტები ახალ ამბებს დროულად და მიუკერძოებლად აშუქებდნენ.




„მეგა ტვ“ (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში საინფორმაციო გამოშვებები ორშაბათი - შაბათის მანძილზე გადაიციმდა. საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა, თუმცა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესებიც არ რჩებოდა ყურადღების მიღმა. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 30 წუთი დაეთმო. ამ დროის 24% ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაეთმო, 21% - მთავრობის, 20% - პრეზიდენტის.

სუბიექტებს დროის უმეტესი ნაწილი პირდაპირი საუბრისთვის ეთმობოდათ: მთავრობა - 76%, პრეზიდენტი - 75%. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებისას 68% ირიბ საუბარზე და თითქმის 92% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. მონიტორინგის ყველა სუბიექტის გაშუქებისას ნეიტრალური ტონი ბევრად მეტი იყო უარყოფით და დადებით ტონებზე.

ახალი ამბების სიუჟეტები, ძირითადად, დაბალანსებული იყო. მოვლენები მიუკერძოებლად შუქდებოდა. ჟურნალისტები ფაქტებს მოკლედ, ანალიზისა და შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ.

4 ნოემბერს საინფორმაციო გამოშვების შემდეგ ტელეკომპანიის ეთერში დაახლოებით 20 წუთიანი ინტერვიუ გავიდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილ წევრ", ამჟამად კი "საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელ გოჩა თევდორაძესთან. მან განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ აგორებული საპროტესტო აქციები და მოქალაქეთა უკმაყოფილება საფუძველსაა მოკლებული და ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც ქუთაისელები უკმაყოფილონი არიან მერია და საკრებულო იღებს. ვინაიდან, ეს


ინტერვიუ საინფორმაციო გამოშვების ნაწილი არ ყოფილა რაოდენობრივად არ დამონიტორინგდა.



"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - ტელეკომპანია „მე-9 ტალღამ“ მონიტორინგის სუბიექტებს ერთკვირიან საანგარიშო პერიოდში სულ 9 წუთი დაუთმო. არხზე ყველაზე მეტი დროით (2 წთ.) კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, თითო-თითო წუთი კი ახლადარჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო.

7-10 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება „კურსორი“ არხის ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. სიუჟეტებში მხარეები თანაბრად იყო წარმოდგენილი. ჟურნალისტები კი დღის ამბების გაშუქების დროს შეფასებებს არ აკეთებდნენ. ისინი, მხოლოდ ფაქტებს გადმოსცემდნენ.

„მე-9 ტალღაზე“ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას საკმაოდ მაღალი იყო ნეიტრალური ტონი. რაც შეეხება პირდაპირ და ირიბ გაშუქებას, მცირედით, თუმცა პირდაპირი გაშუქება ირიბს სჭარბობდა.



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ "დიალოგის" ოთხი გადაცემა გავიდა. დაახლოებით ერთსაათიანი გადაცემები ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს მიჰყავდა. გადაცემები თემების და სტუდიაში მიწვეული სტუმრების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. განიხილეს შემდეგი საკითხები:

- მასწავლებლების სერთიფიცირების წესის შეცვლა (სტუმარი - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე);
- აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრების შერჩევა (სტუმრები - საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები)
- საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარება (სტუმარი - ეკონომიკის ექსპერტი);
- აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრის ვახტანგ ლლონტის არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი მიძღვნილი ლექსი (სტუმრები: ვახტანგ ლლონტი და "დემოკრატიის ინსტიტუტის" თავმჯდომარე გენო გელაძე);
- 2007 წლის შვიდ ნოემბერს სტუდენტების დარბევის ფაქტის გამოძიების მოთხოვნა (სტუმარი - სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენელი).

გადაცემებში ჟურნალისტი ბოლომდე ეძიებოდა სტუმრებს და ცდილობდა წამოჭრილ საკითხებზე და დასმულ კითხვებზე მათგან უფრო კონკრეტული პასუხები მიეღო. სტუდიაში შედიოდა სატელეფონო ზარებიც, სადაც მოსახლეობა თავად სვამდა კითხვებს და გამოთქვამდა აზრს. თოქ-შოუებში ნაჩვენები იყო თემების ირგვლივ მომზადებული სიუჟეტებიც.

გადაცემის წამყვანი ცდილობდა ყველას მიმართ თანაბრად კრიტიკული ყოფილიყო და საკუთარი შეხედულებების დაფიქსირებისგან თავს იკავებდა. მას თოქ-შოუები მიუკერძოებლად მიჰყავდა და მოდერატორის როლში გვევლინებოდა.

8 ნოემბერს არხის ეთერი საათნახევრიან **თოქ-შოუს “უპასუხეთ ხალხს”** დაეთმო. მასაც ჟურნალისტი ჯაბა ანანიძე უძღვებოდა. გადაცემის თემა აჭარაში ციტრუსის სეზონის დაწყება, მოსავლის აღებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები იყო. აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ სტუდიაში მიწვეული იყვნენ: აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხების კომისიის თავმჯდომარე და ციტრუსების ექსპორტიორი. გადაცემაში ასევე ჩაერთვნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი და მარკეტოლოგი. სტუმრებმა მიმოიხილეს ციტრუსების ექსპორტთან დაკავშირებით არსებული პრობლემები. ისაუბრეს იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ვითარების გამოსასწორებლად.

წამყვანი ცდილობდა ჩამიებოდა სტუმრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და საშუალება არ მიეცა მათთვის არასასურველი, მწვავე კითხვებისთვის თავი აერიდებინათ. თუმცა, თავად სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდა.

„რიონი“ (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო პერიოდში „რიონის“ ეთერში თოქ-შოუ „დიალოგი“ გავიდა, რომელიც ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა. გადაცემაში ისაუბრეს ქუთაისის მერიასა და საკრებულოში მიმდინარე პროცესებზე და ქალაქისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე.

თოქ-შოუს სტუმრები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ. ის ადამიანები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, რომ ქუთაისისთვის საჭირობოროტო საკითხებზე პირდაპირ ეთერში ესაუბრათ.

საათნახევრიანი თოქ-შოუს მსვლელობისას საკმაოდ აქტიური იყო მაცურებელი. როგორც გადაცემის სტუმრები, ასევე მაცურებლები ხშირად აკრიტიკებდნენ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილ წევრს", ამჟამად კი "საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელ გოჩა თევდორაძეს. ჟურნალისტმა გადაცემის სტუმრებს არაერთხელ შეახსენა, რომ თევდორაძის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებზე არგუმენტები უნდა ჰქონოდათ და ისე ესაუბრათ. თავად ჟურნალისტი გადაცემაში სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდა და ცდილობდა, სტუდიაში წამოჭრილ თემებზე სტუმრებს ვრცლად ესაუბრათ.

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუ „თემას“ ორჯერ დაეთმო.

5 ნოემბრის გადაცემის პირველი ნაწილის სტუმარი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ირმა ყიფიანი იყო. მეორე ნაწილში კი თოქ-შოუს ეთერი საზოგადოებრივი მოძრაობა „სამოქალაქო სოლიდარობის“ ხელმძღვანელსა და წევრებს დაეთმო.

8 ნოემბრის გადაცემის სტუმრები "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" და "საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" ქუთაისის ორგანიზაციების თავმჯდომარეები იყვნენ. გადაცემის თემები იყო:

- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე;
- საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამოქალაქო სოლიდარობის“ საქმიანობა;
- ქუთაისში მიმდინარე პროცესები;

ჟურნალისტი საინტერესო კითხვებს სვამდა, რაც მაცურებელს საშუალებას აძლევდა თოქ-შოუში წამოჭრილ თემებზე ვრცელი ინფორმაცია მიეღო. წამყვანი კორექტული და მიუკერძოებელი იყო.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში გავიდა ბადრი კაპეტივადის სახელობის საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბის **გადაცემა „ღია სამოქალაქო საზოგადოება“**. ერთსაათიანი გადაცემის თემები იყო:

- არჩევნების შეფასება;
- კოალიცია "ქართული ოცნების" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოჰაბიტაცია;
- თვითმმართველობის შესახებ კანონი;
- ქუთაისის ხელისუფლება;
- გუბერნატორების როლი;
- პარლამენტის თბილისში გადატანის საკითხი;

ამ თემებზე სასაუბროდ სტუდიაში მიწვეული იყო პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი ომარ ნიშნიანიძე. გადაცემის ფორმატი თავისუფალია. წამყვანის, კლუბის პრეზიდენტის და სტუმრის საუბარი ამა თუ იმ თემაზე დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა. ისინი თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე გამოთქვამდნენ აზრს და საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებდნენ. წამყვანმა გადაცემის მსვლელობისას სხვადასხვა საკითხზე საკუთარი შეხედულება არაერთხელ დააფიქსირა.

10 ნოემბერს ტელეკომპანიის ეთერში **გადაცემა „თქვენი პარლამენტი“** გავიდა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება. წამყვანს გადაცემაში ლაგოდების მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „უპარტიო-დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოზალიშვილი ჰყავდა მიწვეული, რომელმაც ტელეკომპანია „ლტვ“-ს (ქ. ლაგოდები) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა. სასაუბრო თემა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები იყო. ცვლილებები ხე-ტყის უკანონო მოპოვებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებას ითვალისწინებს.

„თქვენი პარლამენტის“ სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, გადაცემაში განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - ერთკვირიან საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში თოქ-შოუს “თქვენი დრო” ორი გადაცემა გავიდა, სამშაბათს და პარასკევს, რომლებიც ჟურნალისტ ტატო გოგოლაძეს მიჰყავდა.

გადაცემის თემები იყო:

- ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმა და ახალი კოდექსი;
- ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები; რუსთავში მიმდინარე და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები;

თოქ-შოუს სტუმრები იყვნენ: ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი მამუკა აბულაძე და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძგური.

ჟურნალისტი თემებთან დაკავშირებით კარგად იყო მომზადებული. იგი დეტალებით ინტერესდებოდა, ცდილობდა მეტი ინფორმაცია მიეღო სტუმრებისგან თემების და დისკუსიის დროს წამოჭრილი საკითხების შესახებ.

7 ნოემბერს ტელეკომპანიის ეთერში გადაცემა „თქვენი პარლამენტი“ გავიდა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება. წამყვანს გადაცემაში ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „უპარტიო-დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოზალიშვილი ჰყავდა მიწვეული, რომელმაც ტელეკომპანია „ლტვ“-ს (ქ. ლაგოდეხი) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა. სასაუბრო თემა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები იყო. ცვლილებები ხე-ტყის უკანონო მოპოვებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებას ითვალისწინებს.

„თქვენი პარლამენტის“ სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, გადაცემაში განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

„ოდიში“ (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირის განმავლობაში მონიტორინგის დაკვირვების ქვეშ გადაცემა „თქვენი პარლამენტი“ მოექცა. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის

კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მომზადებული გადაცემა არხის ეთერში 10 ნოემბერს გავიდა.

წამყვანმა გადაცემის სტუმარს, გორის მაჟორიტატ დეპუტატს, ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის“ თავჯდომარე მალხაზ ვახტანგაშვილს ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიერ მომზადებულ კითხვები დაუსვა. გადაცემის თემა იყო: კანონის გამკაცრება "გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში (112)" განხორციელებული ანონიმური მუქარის ზარების ან შეურაცხყოფის მიყენების გამო.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს, ამიტომ გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. გადაცემის დასაწყისში წამყვანმა თემის გარშემო მაყურებელს მოკლე, მაგრამ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

მეცხრე არხი (ქ. ახალციხე) - 7 ნოემბერს ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ “დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად” გავიდა. მიწვეულმა სტუმრებმა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ადიგენის შტაბის უფროსმა და “ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის” ახალციხის შტაბის უფროსმა გენერალური პროკურორის, არჩილ კბილაშვილის გადადგომის მიზეზები განიხილეს.

მთავარი სტუმრების გარდა, სტუდიაში იმყოფებოდნენ და დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გადაცემაში მონაწილეობის მიღება მოქალაქეებსაც შეეძლოთ, რომლებიც სატელეფონო ჩართვებით სტუმრებს საინტერესო კითხვებს უსვამდნენ.

ჟურნალისტი სტუმრებს საშუალებას აძლევდა ბოლომდე დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი და მიუკერძოებლად სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს. ჟურნალისტი მოდერატორის როლს ითავსებდა და ცდილობდა თითოეული სტუმრისთვის დრო თანაბრად გადაენაწილებინა. იგი ბოლომდე ეძიებოდა სტუმრებს და მათგან სათქმელის დაკონკრეტებას ითხოვდა.

"თანამგზავი" (ქ. თელავი) - ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში 8 ნოემბერს საღამოს 20:30 საათზე თოქ-შოუ „დიალოგი“ გავიდა, რომელსაც ჟურნალისტი ნატო მეგუთნიშვილი უძღვებოდა. გადაცემის პირველი ნაწილი ნაგავსაყრელის პრობლემას ეთმობოდა. სტუდიაში ეკოლოგიური საკითხების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საუბრობდნენ. დისკუსია მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, მხარეებს საკუთარი შეხედულებების მაქსიმალურად წარმოჩენის შესაძლებლობა ეძლეოდათ.

წამყვანი შეკითხვების დასმის დროს არ გამოხატავდა საკუთარ პოზიციას და ცდილობდა რესპონდენტებისგან ამომწურავი პასუხები მიეღო. გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული იყო, სტუმრები საკითხებს კარგად იცნობდნენ. მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა თემის ირგვლივ კომპეტენტური აზრი მოესმინა და ამომწურავი ინფორმაცია მიეღო.

გადაცემის მეორე ნაწილში დისკუსია პიროვნების ფსიქოლოგიური პრობლემების საკითხებზე გაიმართა. გადაცემის სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო კვირაში თოქ-შოუ „თქვენი აზრი“ სამჯერ (ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს) გავიდა. გადაცემები, რომლებსაც ჟურნალისტი გვანცა დოლუაშვილი უძღვებოდა, ორი ნაწილისგან შედგებოდა.

გადაცემებში შემდეგ თემებზე ისაუბრეს:

- ახალი პრემიერ-მინისტრის დასახელება და პოლიციის რეფორმის შედეგები;
- საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის შესაძლებლობები;
- პროკურორ არჩილ კბილაშვილის მერ თანამდებობის დატოვება.

გადაცემების პირველ ნაწილში წამყვანი თემასთან დაკავშირებით ვრცელ მიმოხილვას აკეთებდა, წარადგენდა სიუჟეტს და მოსახლეობას პირდაპირ ეთერში საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისკენ მოუწოდებდა. მიუხედავად ამისა, გადაცემა მოსახლეობის მხრიდან მაღალი ინტერაქტიულობით არ გამოირჩეოდა. წამყვანის შესავლის ტექსტი ვრცელი და ინფორმაციული იყო. იგი მიუკერძოებლად წარმოადგენდა განსხვავებული პოზიციების მქონე პოლიტიკური ძალებისა და მთავრობის წარმომადგენლების შეხედულებებს.

გადაცემის მეორე ნაწილში მიწვეული სტუმრები კომპეტენტური პირები იყვნენ და კარგად იცნობდნენ სასაუბრო თემებს. წამყვანისა და სტუმრის დიალოგი, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, საკმაოდ კონსტრუქციულ, კორექტულ და მშვიდ გარემოში.

4 ნოემბრის გადაცემაში ბალანსის პრობლემა გამოვლინდა: სტუდიის სტუმარი, ქარელის გამგებლის ყოფილი მოადგილე, მოქმედი გამგებლის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე სუბრობდა. გადაცემაში წარმოდგენილი არ იყო ორივე დაპირისპირებული მხარის პოზიცია, მხოლოდ ერთი მხარის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები ისმოდა, რომლებიც არ იყო გამყარებული კომპეტენტური წყაროების მიერ მოწოდებული ფაქტებით და არგუმენტებით.

გადაცემების მსვლელობის დროს წამყვანი სტუმარებს საკუთარი პოზიციის გამოთქმის საშუალებას მაქსიმალურად აძლევდა, ნაკლებად კრიტიკული იყო და მათ ოპონირებას არ უწევდა.

საანგარიშო კვირის **თოქ-შოუ "თვალსაზრისში"**, რომელსაც ლადო ბიჭაშვილი უძღვებოდა, გორისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის აღდგენის შესახებ ისაუბრეს. გადაცემა მიწვეული სტუმრების და პოზიციების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მხარეები დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი. საკითხზე სასაუბროდ სტუდიაში მიწვეულები იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული იყო, თემაზე ამომწურავად ისაუბრეს. წამყვანი საკუთარ მოსაზრებებსა და პოზიციას ნაკლებად აფიქსირებდა. იგი, ძირითადად, კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და მოდერატორის როლში გვევლინებოდა.

გასულ კვირას მონიტორინგის ქვეშ კიდევ ერთი თოქ-შოუ მოექცა. **გადაცემა „შენი პოზიცია თუა გიგუაშვილთან ერთად“** ქარსაცავი ზონების მოწყობის საკითხებს დაეთმო. თემაზე სასაუბროდ მიწვეულნი იყვნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. გადაცემაში მონიტორინგის სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა.

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო კვირაში, 8 ნოემბერს ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ "ძალა უძალოთა"** გადაიდა. გადაცემას, რომლის თემა იყო "დაეხმარება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას", ჟურნალისტი ლევან ალექსიშვილი უძღვებოდა.

გადაცემაში მიწვეულები იყვნენ: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჟურნალისტი და პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი.

წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის როლს ასრულებდა, თუმცა, ზოგჯერ, ცხარე კამათშიც ერთვებოდა. მის მიერ დასმული კითხვები კრიტიკული იყო, იგი ცდილობდა ბოლომდე ჩაძიებოდა სტუმრის გაკეთებულ კომენტარებს. რაც მაყურებელს საშუალებას აძლევდა თემის ირგვლივ ამომწურავი ინფორმაცია მიეღო.

"ძალა უძალოთას" მაყურებელი თავადაც მონაწილეობდა გადაცემაში: მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სატელეფონო ჩართვების დროს სტუმრებისთვის საინტერესო კითხვები დაესვათ.

გადაცემის მსვლელობისას წამყვანი რომელიმე მხარისადმი საკუთარ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა და თოქ-შოუს მიუკერძოებლად უძღვებოდა. გადაცემაში დაბალანსებულად გაშუქდა სხვადასხვა მხარის პოზიცია.

10 ნოემბერს არხის ეთერი გადაცემას **“თქვენი პარლამენტი”** დაეთმო. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება. გადაცემის სტუმარმა პარლამენტის წევრმა, ფრაქცია "ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების" თავმჯდომარემ, ირაკლი ჩიქოვანმა ამინისტიის შესახებ კანონ-პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ისაუბრა, რომელთა თანახმადაც ის პირები, რომლებიც ნებაყოფლობით გამოცხადდებიან საგამომიებო ორგანოებში და ჩააბარებენ სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველ მასალებს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან.

გადაცემაში მონაწილეობის მიღებაზე “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრებმა უარი განაცხადეს. სტუმარმა ტელეკომპანია “ეგრისის” (ქ.სენაკი) ჟურნალისტის მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა. გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

საანგარიში კვირაში მონიტორინგის ქვეშ **თოქ-შოუ "დიალოგი"** მოექცა. გადაცემაში, რომლის სტუმარი სოფელ ბაკურციხის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი იყო, სოფლის მდგომარეობასა და მისი განვითარების პოტენციალზე ისაუბრეს. გადაცემაში მონიტორინგის სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიში კვირაში ტელეკომპანიას თოქ-შოუ არ მოუმზადებია.

"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიში კვირაში ტელეკომპანიას თოქ-შოუ არ მოუმზადებია.

მეგა ტვ" (ქ. ხონი) - 4 ნოემბერს ტელეკომპანიის ეთერში გადაცემა **„თქვენი პარლამენტი“** გავიდა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

წამყვანს გადაცემაში ლაგოდების მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „უპარტიო-დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოზალიშვილი ჰყავდა მიწვეული, რომელმაც ტელეკომპანია „ლტვ“-ს (ქ. ლაგოდები) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა. სასაუბრო თემა საგადასახადო კოდექსში შესატანი

ცვლილებები იყო. ცვლილებები ხე-ტყის უკანონო მოპოვებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებას ითვალისწინებს.

„თქვენი პარლამენტის“ სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, გადაცემაში განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - ერთკვირიან საანგარიშო პერიოდში „მე-9 ტალღის“ ეთერში თოქ-შოუ „თემა“ გავიდა. 45 წუთიანი გადაცემის სტუმარი ფოთის მერი დავით სართანია იყო. ჟურნალისტმა თეა აბსარიძემ მას კითხვები ფოთში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრების მიერ რუსეთის დროშის დაწვის ფაქტზე და ზოგადად ფოთში მიმდინარე პროცესებზე დაუსვა. წამყვანი საკმაოდ ბევრ საკითხს შეეხო. ის დეტალურად ინტერესდებოდა ფოთში სახვადასხვა სფეროში არსებული პრობლემებით. ასევე ცდილობდა გაეგო რა იყო ფოთის მერსა და პარლამენტის წევრ, მაჟორიტარ დეპუტატ ეკა ბესელიას შორის ურთიერთობის დამაბზვის მიზეზი. თუ სტუმრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ბუნდოვანი იყო, ჟურნალისტი მას საკუთარ მოსაზრებებს აკონკრეტებინებდა. წამყვანმა გადაცემაში ბევრი კრიტიკული შეკითხვა დასვა.

თოქ-შოუს მსვლელობისას საკმაოდ აქტიურობდა მაყურებელი. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სატელეფონო ზარის ავტორს, რომლის კითხვაც ეკა ბესელიას შეეხებოდა, ჟურნალისტმა აზრის დასრულების საშუალება არ მისცა. მოქალაქე მერს ეკითხებოდა: "რატომ უთმენ ამდენს ეკა ბესელიას. რა გახდა ეს ქალი. რატომ აგვარჩევინე შვილო ასეთი ქალი, რომელიც სულ..." ჟურნალისტმა მას კორექტულობისკენ მოუწოდა და სატელეფონო ზარი გაითიშა. მიგვაჩნია, რომ მოქალაქის კითხვა არაკორექტული არ ყოფილა. ჟურნალისტმა მას არ მისცა საშუალება, რომ ეკა ბესელიას მისამართით კრიტიკული აზრი გამოეთქვა.

ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“, „25-ე არხი“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ და „მეცხრე არხი“.

საანგარიშო კვირის ტელეჟურნალ „მრავალკუთხედის“ სტუდიაში სტუმრები მიწვეული არ ყოფილან. მხოლოდ სიუჟეტები გავიდა, რომლებიც შემდეგ თემებზე იყო მომზადებული:

- საქართველოს 13 ქალაქი ახალ სტატუსსა და უფლებებს ელოდება;
- დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი შველას ითხოვს;
- რეგიონებში არსებული ნაგავსაყრელების პრობლემები: შეესაბამება თუ არა გადასახადის ოდენობა მომსახურების ხარისხს.

„მრავალკუთხედის“ ეთერში ასევე გავიდა დაიჯესტი რეგიონებში განვითარებული კვირის მთავარი მოვლენების შესახებ.

ტელეჟურნალში გასულ სიუჟეტებში დეტალურად იყო განხილული საკითხები. წარმოდგენილი იყო ყველა დაინტერესებული მხარე. ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ და მოსახლეობის კომენტარებსაც წარმოადგენდნენ, სიუჟეტებში მოცემული იყო ამბის წინაისტორიაც. სიუჟეტები დაბალანსებული იყო. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ. მაყურებელს განხილული თემების ირგვლივ ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეეძლო.

სტუდია "რე"

საანგარიშო კვირაში, 9 ნოემბერს ტელეკომპანია "გურჯაანის" სადამოს ეთერი სტუდია „რეს“ 50 წუთიან ტელედისკუსიას დაეთმო.

გადაცემის, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის მხარდაჭერით "ნდობის აღდგენის და ადრეული რეაბილიტაციის მექანიზმის" (COBERM) პროექტის ფარგლებში მომზადდა, თემა "ოკუპაციის ხაზი" იყო.

გადაცემა სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სტუდიაში მიწვეულმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ე.წ ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე სოფლებში შექმნილ პრობლემებზე ისაუბრეს, განიხილეს თუ რა შეიძლება გააკეთოს თავად მოსახლეობამ, როგორ შეიძლება მხარეებს შორის ნდობის აღდგენა. დისკუსიაში სკაიპით ჩაერთვნენ: ჟურნალისტი ცხინვალიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ზუგდიდიდან და გორიდან.

გადაცემის წამყვანი, ჟურნალისტი ზვიად ქორიძე მის მიერ დასმული კითხვებით ცდილობდა, თემები მეტად გაეშალა და სტუმრებისგან ამომწურავი პასუხები მიეღო.

სოციალური რეკლამების მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დაკვირვება მოხდება სოციალურ რეკლამებზე. "რეკლამის შესახებ კანონის" მე-12 მუხლში სოციალური რეკლამა განმარტებულია როგორც "საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას (9.06.2006 N3245)". დაკვირვება მოხდება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სოციალური რეკლამა ამ სტატუსის რეკლამისთვის კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხომ არ შეიცავს "ფარული პოლიტიკური რეკლამის" (სამთავრობო დაწესებულებების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირება) ნიშნებს. თვისებრივი კვლევის პარალელურად დაითვლება "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნების შემცველი სოციალური რეკლამების ეთერში გასვლის სიხშირეც.

მონიტორინგის შედეგები: საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნები არ შეინიშნებოდა.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

15-22 ნოემბრის მანძილზე მომზადდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.

ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.